



# Adobe Photoshop

100 ბაკვეთილი

I ნაწილი



ტექსტის ეფექტები

კოტე იულდაშევი

2006

## წიგნის შესახებ

წიგნთა ეს სერია ეძღვნება დღეისთვის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გრაფიკულ პროგრამას Adobe Photoshop CS2. თითოეული ნაწილი დაფუძნებულია პროგრამის ერთ გარკვეულ თემაზე (ფოტო-ეფექტები, ტექსტის ეფექტები, ვებ-დიზაინი და ა.შ.) და მასში მოცემულია 100 გაკვეთილი. თითოეული გაკვეთილი დაყოფილია პუნქტებად, ყოველი პუნქტი ახსნილია დაწვრილებით და ყველასთვის გასაგებ ენაზე, იქნება ეს დამწყები თუ პროფესიონალი დიზაინერი.

წიგნის მიზანია გააცნოს მკითხველს შეძლებისდაგვარად Photoshop-ის ყველანაირი შესაძლებლობა და გახადოს ისინი უფრო იოლად გასაგები და მოსახმარი. ზოგიერთი გაკვეთილი აღებულია და დამუშავებულია სხვადასხვა საიტიდან, ზოგი კი ჩემს მიერაა დაწერილი.

მოცემული ნაწილი ეძღვნება ტექსტის ეფექტებს. მოყვანილია სხვადასხვა საინტერესო და ორიგინალური გაკვეთილი, იქნება ეს სამგანზომილებიანი ტექსტი თუ ცეცხლოვანი წარწერა, ქრომის ეფექტი თუ ოქროს წარწერა. აქ მოყვანილი ტექსტის ეფექტებით თქვენ შეძლებთ გაალამაზოთ ვებ-გვერდები და არა მარტო ისინი. მთავარია ფანტაზია და მონდომება.

## საკონტაქტო ინფორმაცია

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ გამომეხმაროთ შემდეგ მისამართებზე:

*E-Mail: [kote7777@gmail.com](mailto:kote7777@gmail.com)*

*Yahoo Messenger: [kiuldashevi](https://www.yahoo.com/messenger/kiuldashevi)*

*MSN Messenger: [kote7777@gmail.com](https://www.msn.com/messenger/kote7777@gmail.com)*

გისურვებთ საინტერესო მოგზაურობას Adobe Photoshop-ის ფანტასტიურ სამყაროში!

*პატივისცემით, კოტე იულდაშევი*

# გაკვეთილი 1

## სამზანო მიღებისანი ტექსტი

### 1

შექმენით ახალი დოკუმენტი ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). შეარჩიეთ ზომა თქვენი სურვილისამებრ. ამ მაგალითში გამოყენებულია 500X300 პიქსელის ზომის დოკუმენტი.

### 2

შექმენით ახალი ფენა ბრძანებით **Layer > New > Layer** (Shift+Ctrl+N).

### 3

ამოირჩიეთ საწერი ხელსაწყო (Horizontal Type Tool) და აკრიფეთ სასურველი ტექსტი ღია ფერით. ამ მაგალითში გამოყენებული ფერია #00B4FF.




### 4

მოახდინეთ ფენის რესტარიზაცია ბრძანებით **Layer > Rasterize > Type**.


### 5

შეასრულეთ ბრძანება **Edit > Free Transform** (Ctrl+T). დააჭირეთ და არ აუშვათ Shift+Ctrl+Alt და ამავდროულად დააწკაპუნეთ სურათის ქვედა მარჯვენა და მარცხენა კუთხეებზე და გადაათრიეთ ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები. ტექსტი გაიწელება.




## 6

მოახდინეთ ფენის კოპირება ბრძანებით **Layer > Duplicate Layer** (Ctrl+J) და მოათავსეთ ახალი ფენა პირველი ფენის ქვეშ:




## 7

შექმენით ფენათა ჯგუფი ბრძანებით **Layer > New > Layer Set**. ან დააწკაპუნეთ ფოლდერის გამოსახულებაზე ფენათა პალიტრაში:



## 8

გადაიტანეთ კოპირებული ფენა ფენათა ჯგუფში:




## 9

შეასრულეთ ბრძანება:

**Layer > Layer Style > Bevel & Emboss:**





## 10

ინსტრუმენტთა პანელიდან აირჩიეთ ხელსაწყო Move Tool (V).

## 11

დააჭირეთ და არ აუშვათ Shift ღილაკს კლავიატურაზე და ამავდროულად ორჯერ დააჭირეთ ქვედა მიმართულების ისარს. თქვენ უნდა მიიღოთ ამის მსგავსი შედეგი:




## 12

დააჭირეთ და არ აუშვათ Alt-ს და ამავდროულად 19-ჯერ დააჭირეთ ზედა მიმართულების ისარს კლავიატურაზე. ახლა თქვენ საერთო ჯამში უნდა გქონდეთ 20 ფენა ფენათა ჯგუფში და თქვენი შედეგი უნდა იყოს ასეთი:



### 13

დაჭირეთ პატარა ლურჯ ისარს, რომელიც მდებარეობს ფენათა ჯგუფის გვერდით. ამით თქვენ დამალავთ 20-ვე ფენას, რადგან ჩვენ ისინი აღარ გვჭირდება.




### 14

გააქტიურეთ პირველი ფენა ფენათა პალიტრაში.

### 15

შეასრულეთ ბრძანება: **Layer > Layer Style > Gradient Overlay** (თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ თქვენთვის სასურველი ფერთა კომბინაცია).



თქვენი საბოლოო შედეგი უნდა იყოს ასეთი:



## 2 ბაკჰაილი ყინულის ეფექტი

### 1

შექმენით თქვენთვის სასურველი ზომის ახალი დოკუმენტი ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). ამ მაგალითში გამოყენებული იქნება 500X500 პიქსელის ზომის დოკუმენტი. შეავსეთ ფონი შავი ფერით.

### 2

აირჩიეთ საწერი ხელსაწყო და დაწერეთ თქვენთვის სასურველი ტექსტი თეთრი ფერით. მოახდინეთ ტექსტის რესტარიზაცია ბრძანებით **Layer > Rasterize > Layer**. შეასრულეთ ბრძანება **Layer > Merge Layers** (Ctrl+E), რათა გააერთიანოთ ორი ფენა.

### 3

აირჩიეთ ხელსაწყო “ჯადოსნური ჯოხი” (Magic Wand Tool (W)). დარწმუნდით, რომ ხელსაწყოს ზედა სამუშაო ყუთში არ არის მონიშნული ბრძანება Contiguous. ახლა ჯადოსნური ჯოხით დააწკაპუნეთ სურათის შავ ფონზე.



## 4

შეასრულეთ ბრძანება: **Filter > Pixelate > Crystalize: Cell Size > 7 ან 8.**

## 5

დააჭირეთ კლავიშთა კომბინაციას Ctrl+Shift+I. შეასრულეთ ბრძანება **Filter > Noise > Add Noise: Amount > 70%; Distribution > Uniform; Monochromatic > არ არის მონიშნული.**




## 6

შეასრულეთ ბრძანება: **Filter > Blur > Gaussian Blur: Radius > 2 px.**



## 7

შეასრულეთ ბრძანება Ctrl+M. ამოძრავეთ მრუდები ისე, რომ მიიღოთ ასეთი შედეგი:




## 8

შეასრულეთ ბრძანება: **Image > Rotate Canvas > 90° CW**, შემდეგ კი **Filter > Stylize > Wind**  
შემდეგი მონაცემებით: *Method > Wind; Direction > From The Right*.



## 9

დააბრუნეთ ტექსტის მდებარეობა საწყის მდგომარეობაში ბრძანებით: **Image > Rotate Canvas > 90° CCW**. ტექსტის ფერის შესაცვლელად შეასრულეთ ბრძანება **Image > Adjustments > Hue/Saturation (Ctrl+U)**: მონიშნეთ ბრძანება Colorize და ჩაწერეთ ის მონაცემები, რაც ნაჩვენებია სურათზე:



სურვილისამებრ დაუმატეთ ტექსტს ბრჭყვიალები ფუნჯის საშუალებით და ყინულის წარწერა მზადაა:



## 3 ბაკჰეითილი ბაღა

### 1

შექმენით თქვენთვის სასურველი ზომის დოკუმენტი ბრძანებით **File > New** (Ctrl+N).


### 2

პირველ რიგში საჭიროა მოხატულობის შექმნა. გაადიდეთ დოკუმენტი 400 %-მდე, აირჩიეთ ხელსაწყო Rectangular Marquee Tool (M), არჩეული სტილით Fixed Size პანელზე Options, შემდეგ კი შეავსეთ შავი ფერით პატარა კვადრატი (მაგ. 20 პიქსელის სიგანის).




### 3

დააპატარავეთ გამოყოფილი არეს ზომა ბრძანებით **Select > Modify > Contract: Contract By > 2** px. შეავსეთ მიღებული მონიშნული არე თეთრი ფერით (**Edit > Fill**). დაჭირეთ Ctrl-ს და ამავდროულად დააწკაპუნეთ ფენაზე, რათა გამოყოთ შევსებული კვადრატი. ამის მერე შეასრულეთ ბრძანება **Edit > Define Pattern**. დაარქვით მოხატულობას “square grid” და შეინახეთ.




### 4

მოაშორეთ პატარა კვადრატი გამოსახულებიდან, მოხსენით მონიშვნა, რის შემდეგაც შეასრულეთ ბრძანება **Edit > Fill > Pattern**. აირჩიეთ ახლად შექმნილი მოხატულობა “square grid”.




## 5

შექმენით შევსებული ფენის სარეზერვო ასლი. გააქტიურეთ კოპირებული ფენა და შეასრულეთ ბრძანება **Filter > Blur > Gaussian Blur: Radius > 3**.




## 6

შექმენით ახალი ფენა ბრძანებით **Layer > New > Layer** (Shift+Ctrl+N), რის შემდეგაც აირჩიეთ ინსტრუმენტი Type რეჟიმში Mask. თუ თქვენ საჭიროებთ მიღებული მონიშვნის გადაადგილებას, შეასრულეთ ბრძანება **Select > Transform Selection**.



## 7

მოახდინეთ მიღებული მონიშნული არეს ინვერტირება ბრძანებით **Select > Inverse** (Shift+Ctrl+I) ამის მერე შეასრულეთ ბრძანება **Select > Modify > Smooth: Sample Radius > 12 px**. შეავსეთ მონიშნული არე შავი ფერით (**Edit > Fill**).






## 8

გამოჩინეთ კოპირებული ფენა, შემდეგ გააერთიანეთ ორივე ფენა ბრძანებით: **Layer > Merge Layers** (Ctrl+E).




## 9

შეასრულეთ ბრძანება **Image > Adjustments > Curves** (Ctrl+M) და მოახდინეთ ტეხილის კორექტირება ისე, როგორც არის ნაჩვენები სურათზე. მოხსენით მონიშვნა (Ctrl+D).



## 10

საწყისი ტეხილის შეცვლის შედეგი:






# 11

ეფექტის გასაძლიერებლად, გააფერადეთ გამოსახულება ბრძანებით **Image > Adjustments > Hue/Saturation**. მონიშნეთ Colorize. შეარჩიეთ ფერთა კომბინაციები თქვენი გემოვნებით.



# 12

ერთფეროვან გამოსახულებასთან მუშაობისას ტეხილის ცვლილებებმა შესაძლოა გააჩინონ ახალი ელფერები.



## 4 ბაკვითილი ცაცხლოვანი წარწერა

### 1

შექმენით 1117X790 პიქსელის ზომის ახალი დოკუმენტი ბრძანებით **File > New** (Ctrl+N) და შეავსეთ იგი შავი ფერით.

### 2

აირჩიეთ საწერი ხელსაწყო და თეთრი ფერით დაწერეთ "FIRE" 85 ზომის შრიფტით. გადაადგილეთ ტექსტი ისე, რომ იგი მოთავსდეს სურათის ქვედა ნაწილის ცენტრში.


### 3

შექმენით ახალი ფენა ბრძანებით **Layer > New > Layer** (Shift+Ctrl+N). შეაერთეთ ყველა ხილული ფენა ლავიშთა კომბინაციით Ctrl+Alt+Shift+E. შეასრულეთ ბრძანება **Edit > Transform > Rotate 90 CCW**.



### 4

გააქტიურეთ ფენა "Layer 1" და შეასრულეთ ბრძანება **Filter > Stylize > Wind** მონაცემებით: *Method > Wind; Direction > From The Right*. გაიმეორეთ ეფექტი 3-ჯერ. გამეორებისთვის გამოიყენეთ კომბინაცია Ctrl+F. ამის მერე შეასრულეთ: **Edit > Transform > Rotate 90 CW**.



### 5

კვლავ გქონდეთ აქტიური ფენა "Layer 1" და შეასრულეთ ბრძანება **Filter > Blur > Gaussian Blur**: *Radius > 7.5 px*. ახლა შეასრულეთ **Image > Adjust > Hue/Saturation** (Ctrl+U): *Colorize > მონიშნული; Hue > 40; Saturation > 100*.




## 6

მოახდინეთ “Layer 1” ფენის კოპირება ბრძანებით Layer > Duplicate Layer და დაარქვით მას “Layer 1 copy”. შეასრულეთ ბრძანება **Image > Adjust > Hue/Saturation** (Ctrl+U): *Colorize > მონიშნული; Hue > 40*.



## 7

დარწმუნდით რომ აქტიურია კვლავ ფენა “Layer 1 copy” და დააჭირეთ Alt+Shift+D. შეაერთეთ “Layer 1” და “Layer 1 copy” ბრძანებით **Layer > Merge Layers** (Ctrl+E). ამის მერე შეასრულეთ ბრძანება **Filter > Liquify** (Ctrl+Shift+X). აირჩიეთ ხელსაწყო Warp. დიალოგურ ფანჯარაში დააყენეთ Brush Size 50-ზე, ხოლო Brush Pressure 40-ზე. ახლა აწკაპუნეთ და “ათრიეთ” მაუსი თეთრი ტექსტიდან ზევით იქ, სადაც საჭიროა ცეცხლის ენები. ამის შემდეგ Brush Size დააყენეთ 30-ზე, ხოლო Brush Pressure 35-ზე და შექმენით უფრო პატარა ენები. თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ გამოიყენოთ ინსტრუმენტი Reconstruct, რათა მოაშოროთ ან შეასწოროთ თქვენი ცვლილებები. შეიტანეთ შესწორებები მანამ, სანამ არ იქნებით კმაყოფილი თქვენი შედეგით.



## 8

გაკვეთეთ “FIRE” ფენის ასლიბრძანებით **Layer > Duplicate Layer**, რის შედეგადაც მიიღებთ ფენას “FIRE copy”. ფენათა პალიტრაში მოათავსეთ “FIRE copy” ფენა “Layer 1”-ის თავზე. შეავსეთ ტექსტი შავი ფერით.



## 9

მოახდინეთ “Layer 1” ფენის კოპირება და დაარქვით მას “Layer 2”. მოათავსეთ ახლადშექმნილი ფენა “FIRE copy”-ს ზევით. შეცვალეთ “Layer 2”-ის Blending Mode (“ზედდების რეჟიმი”) Screen-ზე. შემდეგ დაამატეთ Layer Mask. ამისთვის დააჭირეთ პიქტოგრამაზე Add Layer Mask ფენათა პალიტრის ქვევით. შეავსეთ ტექსტი გრადიენტით - თეთრი შავზე. ამის მერე, ამოირჩიეთ ხელსაწყო Smudge (R). ფუნჯის ზომა დააყენეთ 65-ზე, სირბილე 70 %-ზე და შეასწორეთ ცეცხლის ენები “Layer 2” ფენის მასკაზე.



## 10

გააქტიურეთ ფენა "Layer 2" და შექმენით ახალი ფენა, "Layer 3". გახადეთ ყველა ფენა ხილული და გააერთიანეთ "Layer 3"-თან (Ctrl+Alt+Shift+E). შეცვალეთ "Layer 3"-ის Blending Mode ("ზედდების რეჟიმი") Screen-ზე, ხოლო გამჭვირვალობა (Opacity) 50 %-ზე. შეასრულეთ ბრძანება **Filter > Blur > Gaussian Blur: Radius > 50 px**.



## 11

შექმენით ახალი ფენა - "Layer 4". გააერთიანეთ ის სხვა ფენებთან Ctrl+Alt+Shift+E კლავიშთა კომბინაციით. შეცვალეთ "Layer 4"-ის Blending Mode ("ზედდების რეჟიმი") Screen-ზე, ხოლო გამჭვირვალობა (Opacity) 60 %-ზე. შეამცირეთ სურათის მასშტაბი ისე, რომ გარშემო გაჩნდეს ფანჯრის არააქტიური ნაცრისფერი სივრცე. შეასრულეთ ბრძანება Edit > **Free Transform** (Ctrl+T). დააწკაპუნეთ მაუსის კურსორით ფენის ზევითა ცენტრალურ ზღვართან და წაათრიეთ იგი გამოსახულების ქვედა ზღვართან, რათა შექმნათ ანარეკლი. დააჭირეთ Enter-ს და გადაადგილეთ ფენა ზევით ინსტრუმენტით Move (V).



# 5 გაკვეთილი ქრომის ეფექტი


## 1

შექმენით ახალი დოკუმენტი 500X500 პიქსელის ზომით ბრძანებით **File > New** (Ctrl+N), თეთრი ფერის ფონით. დიდი ზომის შრიფტით აკრიფეთ ასო "D" მუქი ნაცრისფერით.

# D


## 2

მოახდინეთ ფენის კოპირება ბრძანებით **Layer > Duplicate Layer** და გააკეთეთ ფენის რესტარიზაცია ბრძანებით **Layer > Rasterize > Type**. გააქტიურეთ ფენა “D Copy” და შესრულეთ ბრძანება **Layer > Layer Style > Bevel And Emboss** შემდეგი პარამეტრებით:



## 3

შექმენით ფენის ასლი - “D copy 2” - ბრძანებით **Layer > Duplicate Layer**. შექმენით ახალი ფენა D copy 2-ის ქვეშ ბრძანებით **Layer > New > Layer** (Shift+Ctrl+N). შესრულეთ ბრძანება **Layer > Merge Layers** (Ctrl+E). გააქტიურეთ ახალი ფენა “Layer 1” და კვლავ შესრულეთ ბრძანება **Layer > Layer Style > Bevel And Emboss**:



## 4

კვლავ მოახდინეთ ფენის კოპირება ბრძანებით **Layer > Duplicate Layer** და შეაერთეთ იგი ქვედა ფენასთან ბრძანებით **Layer > Merge Layers** (Ctrl+E). შეასრულეთ ბრძანება **Image > Adjustments > Hue/Saturation**, მონიშნეთ Colorize და დააყენეთ ფერები ისე, რომ მიიღოთ თქვენთვის სასურველი შედეგი.



## 6 ბაკვითილი სარკისებური ჯარჯერა


### 1

შექმენით ახალი დოკუმენტი თეთრი ფონით ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). ზომა შეარჩიეთ თქვენი სურვილისამებრ. აირჩიეთ საწერი ხელსაწყო და აკრიფეთ ნებისმიერი ტექსტი.

### 2


შეასრულეთ შემდეგი ბრძანებები:

**Layer > Layer Style > Drop Shadow:**




**Layer > Layer Style > Inner Glow:**







Layer > Layer Style > Bevel And Emboss:



Layer > Layer Style > Gradient Overlay:



### 3


მოახდინეთ ტექსტური ფენის რესტარისაცია ბრძანებით **Layer > Rasterize > Type**. ამის მერე მოახდინეთ ფენის კოპირება ბრძანებით **Layer > Duplicate Layer**. შეასრულეთ **Edit > Transform > Flip Vertically**. ამის მერე აჭირეთ ქვევითა მიმართულების ისარს კლავიატურაზე მანამ, სანამ კოპირებული ტექსტი არ აღმოჩნდება პირველის ქვეშ (იხ. სურათი):




## 4

გააქტიურეთ მეორე ფენა და შეასრულეთ შემდეგი ბრძანებები:



**Layer > Layer Style > Drop Shadow:**



**Layer > Layer Style > Inner Glow:**




**Layer > Layer Style > Gradient Overlay:**





Layer > Layer Style > Bevel And Emboss:



5

აორჩეთ ხელსაწყო Rectangular Marquee Tool (M) და გააკეთეთ ამის მსგავსი მონიშვნა:



ამის მერე აორჩეთ ინსტრუმენტი Gradient Tool (G). დააჭირეთ "D"-ს, მერე "X"-ს და გრადიენტის ეს ტიპი:



შექმენით ახალი ფენა ბრძანებით **Layer > New > Layer** (Ctrl+Shift+Alt+N). დააჭირეთ Shift-ს და ამავდროულად მონიშნულ არეში ქვევიდან ზევით დახაზეთ ხაზი.

6

მონიშნეთ მეორე ფენა და დაიყვანეთ "გამჭვირვალობა" ("Opacity") 50 %-ზე.



# 7 ბაკგრაუნდი გამოსახულება ტექსტის შიგნით

## 1

გახსენით ფოტო, რომლის ჩასმაც გსურთ ტექსტში.




## 2

აირჩიეთ საწერი ხელსაწყო, აკრიფეთ ტექსტი და მოათავსეთ გამოსახულების იმ ნაწილში, რომელიც გსურთ ჩასვით ტექსტის შიგნით.




## 3

დააწკაპუნეთ მაუსის მარჯვენა კლავიშით ტექსტურ ფენაზე და გამოსული მენიუდან ამოირჩიეთ ბრძანება "Create Work Path".



## 4

აირჩიეთ ხელსაწყო "Pen Tool" (P), დააწკაპუნეთ სურათზე მარჯვენა კლავიშით და აირჩიეთ ბრძანება "Make Selection".



## 5

წაშალეთ ტექსტური ფენა და მონიშვნის მოუხსნელად შეასრულეთ ბრძანება **Layer > New > Layer Via Copy** (Ctrl+J). შეგიძლიათ წაშალოთ სურათის ფენა. ახლა თქვენ გაქვთ გამოსახულება ტექსტის შიგნით.  
ეფექტის გასაძლიერებლად, შეგიძლიათ მიუნიჭოთ მას სხვადასხვა ეფექტები.



## 8 ბაკგატილი ტექსტი ღრუბლებში

### 1


გახსენით ღრუბლების ფოტო, აირჩიეთ საწერი ხელსაწყო და დაწერეთ სასურველი ტექსტი.




### 2

გააქტიურეთ ტექსტური ფენა და შეასრულეთ შემდეგი ბრძანებები:


**Layer > Layer Style > Bevel And Emboss:**



Layer > Layer Style > Color Overlay:



Layer > Layer Style > Stroke:



### 3

ტექსტი ღრუბლებში მზადაა. ეფექტის გასაძლიერებლად ტექსტს შეგიძლიათ გაუკეთოთ ანარეკლი (6 გაკვეთილი).



# 9 ბაკჰოილი მატრიცას ეფექტი

## 1

გახსენით 300X150 პიქსელის ზომის ახალი დოკუმენტი ბრძანებით **File > New** (Ctrl+N) და შეავსეთ იგი შავი ფონით.


## 2

ამოირჩიეთ საწერი ინსტრუმენტი და დაწერეთ დიდი ზომის ტექსტი. ფერად აირჩიეთ #00FF00. გაააქტიურეთ ტექსტური ფენა და შეასრულეთ ბრძანება **Layer > Rasterize > Type**.



## 3

მოახდინეთ ტექსტური ფენის კოპირება ბრძანებით **Layer > Duplicate Layer**. შეასრულეთ ბრძანება **Filter > Blur > Motion Blur** შემდეგი მონაცემებით:



## 4

კვლავ გააკეთეთ პირველი ფენის ("ორიგინალი") ასლი ბრძანებით **Layer > Duplicate Layer** და შეასრულეთ შემდეგი ბრძანება: **Filter > Blur > Motion Blur** მონაცემებით:



## 5

გაერთიანეთ ყველა ფენა ბრძანებით **Layer > Flatten Image** და მატრიცას ეფექტი მზადაა.



## 10 ბაკჰეტილი Google-ის ლოგო

## 1


შექმენით ახალი დოკუმენტი და დაწერეთ ტექსტი შემდეგი პარამეტრების მიხედვით:




## 2

შეასრულეთ შემდეგი ბრძანებები:

**Layer > Layer Style > Drop Shadow:**



Layer > Layer Style > Bevel And Emboss:



3

Google-ის ლოგო მზადაა.



ყურადღება!!!

ყველა უფლება ლოგოზე ეკუთვნის <http://www.google.com>-ს!

## 11 ბაკჰეტილი ლიტონის წარწერა

1

შექმენით 400X200 პიქსელის ზომის ახალი დოკუმენტი თეთრი ფონით ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). აირჩიეთ საწერი ხელსაწყო და დიდი შრიფტით აკრიფეთ სასურველი ტექსტი შავი ფერით.


# metallictext

2

გააკეთეთ ტექსტური ფენის ასლი ბრძანებით **Layer > Duplicate Layer**. გააქტიურეთ ახალი ფენა -“metallictext copy” და შეცვალეთ ტექსტის ფერი თეთრზე.

3

მოახდინეთ “metallictext copy” ფენის რესტარიზაცია ბრძანებით **Layer > Rasterize > Type**.



## 4

კვლავ გააქტიურეთ ფენა “metallictext copy”, შემდეგ აირჩიეთ ინსტრუმენტი Rectangular Marquee Tool (M) და გააკეთეთ ამის მსგავსი მონიშვნა:



## 5

შეასრულეთ ბრძანება: **Select > Feather** (Alt+Ctrl+D). გამოსულ დიალოგურ ფანჯარაში, რადიუსს მიუნიჭეთ 20 პიქსელი.



წაშალეთ მონიშნული არე კლავიშით Delete. აწიეთ ტექსტი 2-3 პიქსელით.

metallictext

## 6

გააქტიურეთ ფენა “metallictext” და შეასრულეთ ბრძანება **Layer > Layer Style > Stroke**. ფერად აირჩიეთ ღია ნაცრისფერი.

metallictext

## 7

კვლავ გააქტიურეთ ტექსტური ფენა ”metallictext copy”, აირჩიეთ ხელსაწყო Rectangle Tool (U) და დახაზეთ, ამის მსგავსი თეთრი ფერის მართკუთხედი.





## 8

მოახდინეთ მართკუთხედის რესტორიზაცია ბრძანებით **Layer > Rasterize > Layer**, შემდეგ აირჩიეთ ინსტრუმენტი Elliptical Marquee Tool (M) და გააკეთეთ ამის მსგავსი მონიშვნა:



## 9


წაშაღეთ მონიშნული არე. დააყენეთ “გამჭვირვალობა” (“Opacity”) ამ ფენისთვის 20 %-ზე.

metallictext

## 12 ბაკჰმილი კრისტალიზაციის ეფექტი

## 1

შექმენით ახალი, 250X400 პიქსელის ზომის დოკუმენტი შავი ფონით ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). აირჩიეთ საწერი ხელსაწყო და აკრიფეთ რაიმე ტექსტი თეთრი ფერით. შეასრულეთ ბრძანება **Image > Rotate Canvas > 90 CW**, შემდეგ კი **Filter > Stylize > Wind: Method > Wind, Direction > From The Right** (გაიმეორეთ ეს ეფექტი ორჯერ კლავიშთა კომბინაციით Ctrl+F) და **Direction > From The Left** (ეს ეფექტიც გაიმეორეთ ორჯერ).




## 2

შეასრულეთ ბრძანება **Image > Rotate Canvas > 90 CCW**, შემდეგ **Filter > Stylize > Wind: Method > Wind, Direction > From The Right (2-ჯერ)** და **From The Left (2-ჯერ)**.




## 3

შეასრულეთ ბრძანება **Layer > Layer Style > Inner Shadow** შემდეგი მონაცემებით:




## 4

**Layer > Layer Style > Outer Glow:**



კრისტალიზაციის ეფექტი მზადაა:



# 13 ბაკჰემილი

## ზეთის საღებავის წარწერა

### 1

შექმენით ახალი, 250X250 ზომის დოკუმენტი შავი ფონით ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). აირჩიეთ საწერი ინსტრუმენტი და აკრიფეთ ტექსტი. მოათავსეთ იგი გამოსახულების შუაში. შეასრულეთ ბრძანება **Layer > Rasterize > Type**, ამის მერე კი **Filter > Blur > Gaussian Blur: Radius > 1.5 px**.



### 2

გააკეთეთ ტექსტური ფენის ასლი ("oil effect copy") ბრძანებით **Layer > Duplicate Layer**. გააქტიურეთ ფენა "oil effect" და შეასრულეთ ბრძანება **Layer > Merge Layers** (Ctrl+E). მოაბრუნეთ გამოსახულება ბრძანებით **Image > Rotate Canvas > 90 CW**. შეასრულეთ **Filter > Stylize > Wind: Method > Stagger, Direction > From The Right**.



### 3

აირჩიეთ ფენა "oil effect copy" და მოახდინეთ მისი კოპირება ბრძანებით **Layer > Duplicate Layer** ("oil effect copy 2"). გააქტიურეთ ფენა "oil effect copy" და შეასრულეთ ბრძანება **Filter > Stylize > Wind: Method > Wind, Direction > From The Right**. შეასრულეთ **Layer > Merge Layers** (Ctrl+E), შემდეგ **Filter > Blur > Blur More**, და ბოლოს **Layer > Flatten Image**.



# 4

შეასრულეთ ბრძანება **Filter > Stylize > Solarize**, შემდეგ **Image > Adjustments > Hue/Saturation: Colorize > მონიშნული, Hue > 47, Saturation > 50, Lightness > 0**.



## 14 ბაკვითილი მბრწყინავი ოქროს და ბრილიანტის წარწერა



# 1

გახსენით ახალი დოკუმენტი შავი ფონით ბრძანებით **File > New (Ctrl+N)**. აირჩიეთ საწერი ხელსაწყო და დაწერეთ ტექსტი თეთრი ფერით.



# 2

შეასრულეთ შემდეგი ბრძანებები:  
**Layer > Layer Style > Bevel And Emboss;**  
**Layer > Layer Style > Gradient Overlay;**





3

დააჭირეთ Ctrl-ს და დააწკაპუნეთ ტექსტურ ფენაზე, რათა მონიშნოთ ტექსტი. ამის მერე შეასრულეთ ბრძანება **Select > Modify > Contract: Contract By > 5**.



4

შექმენით ახალი ფენა ბრძანებით **Layer > New > Layer (Shift+Ctrl+N)** და შეავსეთ იგი თეთრი ფერით (**Edit > Fill**). შეასრულეთ ბრძანება **Filter > Noise > Add Noise** შემდეგი მონაცემებით: *Amount > 40%; Distribution > Gaussian; Monochromatic > მონიშნული*. დააჭირეთ OK-ს, შემდეგ კი დააჭირეთ Ctrl+F-ს ეფექტის გასამეორებლად.



5

**Filter > Noise > Dust & Stratches: Radius > 1; Threshold > 130**.

შეასრულეთ ბრძანება **Filter > Stylize > Emboss: Height > 3; Amount: 130%**.

ახლა შეასრულეთ ბრძანება **Image > Adjustments > Brightness/Contrast: Brightness > +70; Contrast > -20**. მოხსენით მონიშვნა (Ctrl+D).





# 6

გაქტიურეთ პირველი ფენა და შეასრულეთ შემდეგი ბრძანებები:


**Layer > Layer Style > Bevel And Emboss:**

**Layer > Layer Style > Inner Shadow:**



# 7

შექმენით ახალი ფენა ბრძანებით **Layer > New > Layer** (Shift+Ctrl+N), აირჩიეთ “ფუნჯი” (Brush Tool (B)): *Master Diameter > 3 px, Hardness > 75%*. დახატეთ ასო "X" თეთრი ფერით, შემდეგ შეცვალეთ ფუნჯის ზომა 27 პიქსელზე, ხოლო Hardness 20%-ზე და დასვით წერე X-ის შუაში.



# 8

აირჩიეთ ინსტრუმენტი “საშლელი” (Eraser Tool (E)) და წაშალეთ X-ის ბოლოები ისე, როგორც არის ნაჩვენები სურათზე.





9


განსხვავებული გრადიენტის ეფექტი (მეორე პუნქტი):



## 15 გაკვეთილი პლასტმასის ტექსტი

1

გახსენით ახალი დოკუმენტი ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). ფონად სასურველია აირჩიოთ მუქი ფერები. ამ მაგალითში გამოყენებულია გრადიენტი - მუქი ლურჯი შავზე.



2


აირჩიეთ საწერი ინსტრუმენტი და აკრიფეთ ტექსტი.




### 3

შეასრულეთ შემდეგი ბრძანებები:


**Layer > Layer Style > Gradient Overlay:**



**Layer > Layer Style > Inner Shadow:**




**Layer > Layer Style > Outer Glow:**






Layer > Layer Style > Bevel And Emboss:



Layer > Layer Style > Stroke:



# 4

თქვენ უნდა მიიღოთ ამის მსგავსი შედეგი:



## 16 ბაკჰაილი სამგანჯოშილებიანი კლდის ეფექტი

# 1

შექმენით ახალი დოკუმენტი 800X300 პიქსელის ზომით ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). დააკირეთ “D”-ს კლავიატურაზე. ამის მერე შეასრულეთ ბრძანება **Filter > Render > Clouds**.



2

აირჩიეთ საწერი ხელსაწყო და აკრიფეთ სასურველი ტექსტი დიდი ზომის შრიფტით. მოათავსეთ იგი გამოსახულების ზედა ნაწილში.



3

დააჭირეთ Ctrl-ს და ამავდროულად დააწკაპუნეთ ტექსტურ ფენაზე, რათა მონიშნოთ ტექსტი. ამის მერე შეასრულეთ ბრძანება **Select > Feather (Alt+Ctrl+D): Feather Radius > 3**. დამალეთ ტექსტური ფენა.



4

დააყენეთ წინა ფონის ფერი თეთრზე, ხოლო უკანა ღია ნაცრისფერზე (#7E7E7E). შექმენით ახალი ფენა ბრძანებით **Layer > New > Layer (Shift+Ctrl+N)**. შეასრულეთ **Filter > Render > Clouds**, შემდეგ **Layer > Flatten Image** (დიალოგური ფანჯრის გამოსვლის შემთხვევაში დააჭირეთ OK-ს).



5

შეასრულეთ ბრძანება **Image > Rotate Canvas > 90 CW**, შემდეგ **Filter > Stylize > Wind: Method > Wind; Direction > From The Right**. დააჭირეთ Ctrl+F-ს 7-ჯერ ფილტრის გასამეორებლად. შემდეგ დააბრუნეთ გამოსახულება საწყის მდგომარეობაში ბრძანებით **Image > Rotate Canvas > 90 CCW**.



## 6

შეასრულეთ ბრძანება **Filter > Sharpen > Unsharp Mask: Amount > 500%; Radius: 2; Thresold: 0**. ამის მერე შეასრულეთ **Filter > Sharpen > Sharpen**. გაიმეორეთ ეს ფილტრი ორჯერ (Ctrl+F).



## 7

**Image > Adjustments > Color Balance**. შაერჩიეთ ფერები თქვენი სურვილისამებრ.



## 17 გაკვეთილი ტქროს წარწერა

## 1

შექმენით ახალი დოკუმენტი 250X150 პიქსელის ზომით შავი ფონით ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). აკრიფეთ ტექსტი 50% ნაცრისფერით და მოახდინეთ ტექსტური ფენის რესტარიაზაცია ბრძანებით **Layer > Rasterize > Type**.



## 2

აირჩიეთ ინსტრუმენტი "ჯადოსნური ჯოხი" (Magic Wand Tool) (W) ინსტრუმენტთა პანელიდან და მონიშნეთ ტექსტი (Shift-ზე დაჭერით). შეინახეთ მონიშვნა ბრძანებით **Select > Save Selection**.

## 3

გადადით არხების პალიტრაში (**Windows > Channels**). ჩვენ გვაქვს არხი "GOLD". გააკეთეთ ამ არხის ასლი (მარჯვენა ღილაკით დააწკაპუნეთ არხზე და გამოსულ მენიუში აირჩიეთ Duplicate Channel). გააქტიურეთ არხი "GOLD COPY" და შეასრულეთ ბრძანება **Filter > Blur > Gaussian Blur: Radius > 2,5 px**.


## 4

დააწკაპუნეთ არხზე “RGB” და დაბრუნდით ფენათა პალიტრაში (**Windows > Layers**).  
შეასრულეთ ბრძანება **Filter > Render > Lighting Effects: Light Type > Omni; Texture Channel > Gold Copy**.



## 5

**Image > Adjustments > Curves** (Ctrl+M) შემდეგი მონაცემებით:



## 6

შეასრულეთ ბრძანება **Image > Adjustments > Hue/Saturation: Colorize > მონიშნული; Hue > +58; Saturation > +68**. ოქროს წარწერა მზადაა.



# 18 ბაკჰითილი ნაონის წარწერა

## 1

გახსენით ნებისმიერი ზომის ახალი დოკუმენტი შავი ფონით ბრძანებით **File > New** (Ctrl+N) და აკრიფეთ ტექსტი.


## 2

შეასრულეთ შემდეგი ბრძანებები:


**Layer > Layer Style > Drop Shadow:**




**Layer > Layer Style > Inner Shadow:**




**Layer > Layer Style > Outer Glow:**




Layer > Layer Style > Inner Glow:





Layer > Layer Style > Bevel And Emboss:



Layer > Layer Style > Satin:




Layer > Layer Style > Stroke:



### 3

ნეონის წარწერა მზადაა:



## 19 ბაკჰმილი "გატეხილი" ტექსტი

### 1

შექმენით ახალი, 250X250 პიქსელის ზომის დოკუმენტი თეთრი ფონით ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). აკრიფეთ სასურველი ტექსტი და მოახდინეთ ტექსტური ფენის რესტარიზაცია ბრძანებით **Layer > Rasterize > Type**.



# BREAK

## 2

შეასრულეთ ბრძანება **Select > Load Selection**, შემდეგ **Select > Inverse** (Shift+Ctrl+I), **Select > Save Selection** (#2). გადადით არხების პალიტრაში (**Windows > Channels**), გააქტიურეთ არხი “Break” და დააჭირეთ Shift+Ctrl+I. ამის მერე შეასრულეთ **Filter > Noise > Add Noise: Amount > 350%; Distribution > Gaussian; Monochromatic > მონიშნული**.



## 3

შეასრულეთ ბრძანება **Filter > Pixelate > Crystallize** შემდეგი მონაცემებით: *Cell Size > 10*, შემდეგ **Filter > Stylize > Glowing Edges** მონაცემებით: *Edge With > 2; Edge Brightness > 20; Smoothness > 1*. მოხსენით მონიშვნა (Ctrl+D). შეასრულეთ **Filter > Blur > Smart Blur: Radius > 1; Threshold > 0,1; Quality > High; Mode > Overlay Edge**.

## 4

**Select > Load Selection** (#2). შემდეგ **Select > Inverse** (Shift+Ctrl+I), ამის მერე **Select > Modify > Expand: Expand By: 1 px**, დააჭირეთ Shift+Ctrl+I-ს. გადადით ფენათა პალიტრაში (**Windows > Layers**), გააქტიურეთ “Layer 1” და შეასრულეთ ბრძანება **Edit > Fill > White**.



## 20 ბაკჰეითილი ჩრდილი

## 1

გახსენით 400X400 პიქსელის ზომის დოკუმენტი თეთრი ფონით ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). აირჩიეთ საწერი ინსტრუმენტი და შავი ფერით აკრიფეთ თქვენთვის სასურველი ტექსტი.

### Project Angel

## 2


შეასრულეთ ბრძანება **Filter > Blur > Gaussian Blur**: დაარეგულირეთ რადიუსის ზომა თქვენი სურვილისამებრ.

## Project Angel


### 3

შეასრულეთ შემდეგი ბრძანებები:


**Layer > Layer Style > Drop Shadow:**



**Layer > Layer Style > Bevel And Emboss:**



**Layer > Layer Style > Gradient Overlay:**



Project Angel  
Project Angel

## 21 ბაკჰმილი ქალღლის ტექსტი


### 1

შექმენით ახალი დოკუმენტი 720X540 პიქსელის ზომით თეთრი ფონით ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). აირჩიეთ საწერი ხელსაწყო, ტექსტის ფერად დააყენეთ #CCCCCC და აკრიფეთ ტექსტი სხვადასხვა ფონტების გამოყენებით (იხ. სურათი):

S<sup>c</sup> O N<sub>n</sub> e<sup>R</sup>

### 2

შექმენით ახალი ფენა ბრძანებით **Layer > New > Layer** (Shift+Ctrl+N) და დაარქვით მას "black".



## 3

აირჩიეთ ინსტრუმენტი “Polygonal Lasso Tool” (L) ინსტრუმენტთა პანელიდან და თქვენი პირველი ასოს გარშემო გააკეთეთ ამის მსგავსი მონიშვნა:



ამის მერე შეავსეთ მონიშნული არე შავი ფერით (**Edit > Fill**).

## 4

შექმენით ახალი ფენა ბრძანებით **Layer > New > Layer** (Shift+Ctrl+N) “black”-ის ზევით და გააკეთეთ იგივე ოპერაციები, რაც ფენასთან “black”. მოახდინეთ ეს მოქმედებები თქვენი წარწერის თითოეული ასოსთვის.



## 22 გაკვეთილი ელვა

## 1

ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). ფონის ფერად აირჩიეთ #666666. აირჩიეთ საწერი ინსტრუმენტი და გამოსახულების ცენტრში შავი ფერით აკრიფეთ სასურველი ტექსტი.




## 2

დააჭირეთ Ctrl-ს და ამავდროულად დააწკაპუნეთ ტექსტურ ფენაზე, რათა მონიშნოთ ტექსტი. შეასრულეთ ბრძანება **Select > Modify > Expand: Expand By > 2 px**.



## 3

გადადით არხების პალიტრაში (**Windows > Channels**) და დააწკაპუნეთ პატარა ნაცრისფერ კვადრატზე.




## 4

მოხსენით მონიშვნა (Ctrl+D) და შექმენით ახალი არხი (Alpha 2). დააყენეთ თქვენი ფერთა პალიტრა საწყის მდგომარეობაში. ამისთვის დააჭირეთ “D”-ს კლავიატურაზე.

## 5

შეასრულეთ ბრძანება **Filter > Texture > Stained Glass** შემდეგი მონაცემებით: *Cell Size > 10*; *Border Thickness > 2*; *Light Intensity > 0*.



## 6

დააჭირეთ Ctrl-ს და ამავდროულად დააწკაპუნეთ არხზე “Alpha 2”. ერთდროულად დააჭირეთ Ctrl+Alt+Shift-ს და დააწკაპუნეთ არხზე “Alpha 1”.


## 7

დაბრუნდით ფენათა პალიტრაში (**Windows > Layers**) და შექმენით ახალი ფენა. დააყენეთ “გამჭვირვალობა” (“Opacity”) 50%-ზე და შეავსეთ ახალი ფენა ფერით #99CCFF. შეასრულეთ ბრძანება **Filter > Distort > Ripple: Amount > 100%** და გაიმეორეთ ეს მოქმედება ორჯერ (Ctrl+F).


## 8

შეასრულეთ ბრძანებები:

**Layer > Layer Style > Inner Glow:**



Layer > Layer Style > Outer Glow:



## 23 ბაკგრაუნდი გერცხლის წარწერა

### 1

შექმენით ახალი, 300X150 პიქსელის ზომის დოკუმენტი ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). შეავსეთ იგი შავი ფერით (**Edit > Fill**). აირჩიეთ საწერი ინსტრუმენტი და აკრიფეთ სასურველი ტექსტი თეთრი ფერით.




### 2

დააყენეთ თქვენი ფერთა პალიტრა საწყის პოზიციაში. ამისათვის დააჭირეთ "D"-ს კლავიატურაზე. შექმენით ახალი ფენა ბრძანებით **Layer > New > Layer** (Shift+Ctrl+N) და შეასრულეთ ბრძანება **Filter > Render > Clouds**.



### 3

კვლავ გკონდეთ აქტიური ახალი ფენა. დააჭირეთ და არ აუშვათ Ctrl-ს და დააწკაპუნეთ ტექსტურ ფენაზე, რათა მონიშნოთ ტექსტი. გადადით არხების პალიტრაში (**Windows > Channels**) და დააწკაპუნეთ ქვედა პატარა ნაცრისფერ კვადრატზე (Save Selection As Channel), რის შედეგადაც შეიქმნება ახალი არხი "Alpha 1".




### 4

კვლავ გკონდეთ აქტიური არხი "Alpha 1" და შესრულეთ ბრძანება **Filter > Blur > Gaussian Blur: Radius > 3,5 px**. დააწკაპუნეთ არხზე "RGB".



### 5

დაბრუნდით ფენათა პალიტრაში (**Windows > Layers**) და გააქტიურეთ ფენა "Layer 1". შესრულეთ **Filter > Render > Lighting Effects** შემდეგი მონაცემებით:






## 6

დამალეთ ტექსტური ფენა. ამისთვის დააწკაპუნეთ თვალის გამოსახულებაზე ფენის გასწვრივ. კვლავ გააქტიურეთ ფენა "Layer 1", დააჭირეთ Ctrl-ს და ამავდროულად დააწკაპუნეთ ტექსტურ ფენაზე. შეასრულეთ ბრძანება **Select > Inverse** (Shift+Ctrl+I) და დააჭირეთ Delete-ს კლავიატურაზე. მოხსენით მინიშვნა (Ctrl+D).



## 7

შეასრულეთ ბრძანება **Image > Adjustments > Curves** (Ctrl+M):




## 8

კვლავ გქონდეთ აქტიური ფენა "Layer 1". დააჭირეთ Ctrl-ს და ამავდროულად დააწკაპუნეთ ტექსტურ ფენაზე. შეასრულეთ ბრძანება **Select > Modify > Smooth: Sample Radius > 7 px**. დააწკაპუნეთ ფენაზე "Background" და დააჭირეთ Ctrl+C-ს მისი კოპირებისთვის. შემდეგ დააჭირეთ Ctrl+V-ს, რათა ჩასვთ კოპირებული მონიშვნა ახალ ფენაში.

## 9

გააქტიურეთ თქვენი ახალი ფენა და შეასრულეთ ბრძანება **Layer > Layer Style > Bevel And Emboss** შემდეგი მონაცემებით:



# 24 ბაკჰიტილი


## მანათობელი ტექსტი

### 1

შექმენით ახალი, 300X300 პიქსელის ზომის დოკუმენტი ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). შეავსეთ იგი შავი ფერით (**Edit > Fill**). აკრიფეთ სასურველი ტექსტი და მოათავსეთ იგი ცენტრის შუაში. გააერთიანეთ ორივე ფენა კლავიშთა კომბინაციით Ctrl+Shift+E.


### 2

შეასრულეთ ბრძანება **Filter > Blur > Gaussian Blur: Radius > 2**. შემდეგ **Filter > Stylize > Solarize** და მოახდინეთ ფენის კოპირება ბრძანებით **Layer > Duplicate Layer** (“Background copy 1”). გააქტიურეთ ახალი ფენა და შეასრულეთ **Filter > Distort > Polar Coordinates: Polar To Rectangular**. შეასრულეთ ბრძანება **Image > Adjustments > Invert** (Ctrl+I). ამის მერე შეასრულეთ ბრძანება **Image > Rotate Canvas > 90 CW**.




### 3

შეასრულეთ ბრძანება **Filter > Stylize > Wind: Method > Wind; Direction > From The Right**. ორჯერ დააჭირეთ Ctrl+F-ს ეფექტის გასამეორებლად, შემდეგ შეასრულეთ ბრძანება **Image > Adjustments > Auto Levels** (Ctrl+Shift+L), შემდეგ კი დააჭირეთ Ctrl+I-ს და კვლავ სამჯერ Ctrl+F-ს.




### 4

შეასრულეთ **Image > Rotate Canvas > 90 CCW**, ამის მერე კი **Filter > Distort > Polar Coordinates: Rectangular To Polar**.



## 5

მოათავსეთ ფენა “Background” თავში ფენათა პალიტრაში. შეცვალეთ ამ ფენის ”ზედღების რეჟიმი” (“Blending Mode”) Screen-ზე. გააერთიანეთ ორივე ფენა (Ctrl+Shift+E). შეასრულეთ ბრძანება **Image > Adjustments > Hue/Saturation: Colorize > მონიშნული; Hue > 286; Saturation > 56; Lightness > 0.**



## 25 ბაკგრაუნდი ლურჯი ჟელე

### 1


შექმენით ახალი დოკუმენტი თეთრი ფონით ბრძანებით **File > New** (Ctrl+N) და აკრიფეთ ტექსტი შავი ფერით.

## WEBDOGPRO


### 2

შეასრულეთ შემდეგი ბრძანებები:


**Layer > Layer Style > Drop Shadow:**




Layer > Layer Style > Inner Shadow:




Layer > Layer Style > Outer Glow:



Layer > Layer Style > Bevel And Emboss:



Layer > Layer Style > Satin:



Layer > Layer Style > Color Overlay:



### 3

ლურჯი ჟღერა ეფექტი მზადია:

**WEBDOGPRO**

## 26 ბაკგროუნდი

# სამგანზომილებიანი ტექსტი ყინულის ეფექტით

### 1

შექმენით ახალი დოკუმენტი თეთრი ფონით ბრძანებით **File > New** (Ctrl+N) და დაარქვით მას “Ice Text”.

### 2

შექმენით ახალი ფენა ბრძანებით **Layer > New > Layer** (Shift+Ctrl+N), დაარქვით მას “Text”. აირჩიეთ საწერი ხელსაწყო და დაწერეთ სასურველი ტექსტი. დააჭირეთ Ctrl და ამავდროულად დააწკაპუნეთ ტექსტურ ფენაზე, ტექსტი მონიშნება. შეავსეთ იგი მუქი ლურჯით (R: 0, G: 31, B: 86). შემდეგ შეასრულეთ ბრძანება **Select > Modify > Contract: Contract By > 3**. ახლა შეავსეთ მონიშვნა უფრო ღია ლურჯით (R: 0, G: 118, B: 163).



### 3

გააქტიურეთ ფენა “text” და შეასრულეთ ბრძანება **Filter > Blur > Gaussian Blur: Radius > 3 px**. მოახდინეთ ფენის კოპირება ბრძანებით **Layer > Duplicate Layer** და დაარქვით ახალ ფენას “texture”. დააჭირეთ Ctrl-ს და ამავდროულად დააწკაპუნეთ ახალ ფენაზე, შემდეგ შეასრულეთ **Select > Modify > Contract: Contract By > 4 px**. შეასრულეთ ბრძანება **Select > Inverse** (Shift+Ctrl+I) და დააჭირეთ Delete-ს. მოხსენით მონიშვნა (Ctrl+D) და შეასრულეთ ბრძანება **Filter > Texture > Stained Glass: Cell Size > 3; Border Thickness > 1; Light Intensity > 4**.




### 4

შეასრულეთ ბრძანება **Filter > Artistic > Sponge** შემდეგი მონაცემებით: *Brush Size > 1; Definition > 18; Smoothness > 2*. ახლა შეასრულეთ ბრძანება **Image > Adjustments > Levels** (Ctrl+L) და დიალოგურ ფანჯარაში ჩაწერეთ შემდეგი მონაცემები:




### 5

გააქტიურეთ ფენა “text copy” და შეცვალეთ მისი “ზედღების რეჟიმი” (“Blending Mode”) **Lighten**-ზე. შემდეგ შეასრულეთ **Layer > Layer Style > Bevel And Emboss**:




ამის მერე გააქტიურეთ ფენა "text" და შეასრულეთ ბრძანებები:

**Layer > Layer Style > Bevel And Emboss:**



**Layer > Layer > Drop Shadow:**





## 27 ბაკჰეტილი გაწელილი ტექსტი

### 1

შექმენით ნებისმიერ ზომის ახალი დოკუმენტი ბრძანებით **File > New (Ctrl+N)** და აკრიფეთ ტექსტი (სურვილისამებრ შეგიძლიათ ტექსტს მიანიჭოთ სხვადასხვა ეფექტები).

დასაწყისად

### 2

მოახდინეთ ტექსტური ფენის რესტორიზაცია ბრძანებით **Layer > Rasterize > Type**. ინსტრუმენტთა პანელიდან აირჩიეთ ინსტრუმენტი "Single Column Marquee Tool" და დააწკაპუნეთ ტექსტის იმ ნაწილზე, რომელიც გსურთ რომ გაიწელოს.

გაიწეოთ

### 3

შეასრულეთ ბრძანება **Edit > Free Transform (Ctrl+T)** და გაწეეთ მონიშვნა მარცხნივ.

მარცხნივ

### 4

გაიმეორეთ მესამე ნაბიჯი მარჯვენა მხარისთვის და გაწეული ტექსტი მზადაა.

მზადაა

## 28 ბაკჰეტილი აფეთქება

### 1

შექმენით ახალი დოკუმენტი 600X400 პიქსელის ზომით და შავი ფონით ბრძანებით **File > New (Ctrl+N)**.

### 2


აირჩიეთ საწერი ხელსაწყო და აკრიფეთ თქვენთვის სასურველი ტექსტი თეთრი ფერით.




### 3

გააქტიურეთ ტექსტური ფენა და შეასრულეთ შემდეგი ბრძანებები:


**Layer > Layer Style > Drop Shadow:**



**Layer > Layer Style > Inner Shadow:**




**Layer > Layer Style > Color Overlay:**



### 4

გააკეთეთ ტექსტური ფენის ასლი ბრძანებით **Layer > Duplicate Layer** და დამალეთ ახალი ფენა. გააქტიურეთ ფენა "TWIZ".



## 5

შეასრულეთ ბრძანება **Layer > Merge Visible** (Shift+Ctrl+E).



## 6

შეასრულეთ ბრძანება **Filter > Distort > Polar Coordinates: Polar To Rectangular**.



## 7

შეასრულეთ **Image > Rotate Canvas > 90 CW**, შემდეგ **Filter > Stylize > Wind: Method > Wind; Direction > From The Right**. გაიმეორეთ ფილტრი კიდევ ორჯერ (Ctrl+F).


კვლავ შეასრულეთ ბრძანება **Filter > Stylize > Wind** ამ მონაცემებით: **Method > Wind; Direction > From The Left**. გაიმეორეთ ფილტრი კიდევ ერთხელ (Ctrl+F).



## 8


შეასრულეთ ბრძანება **Image > Rotate Canvas > 90 CCW**, შემდეგ კი **Filter > Distort > Polar Coordinates** და დიალოგურ ფანჯარაში აღნიშნეთ *Rectangular To Polar*.

ამოირჩიეთ ინსტრუმენტი პანელიდან Elliptical Marquee Tool (M) და გააკეთეთ ოვალური მონიშვნა ისე, როგორც ნაჩვენებია სურათზე:




შეასრულეთ ბრძანება **Select > Inverse** (*Shift+Ctrl+I*), შემდეგ **Select > Feather** (*Alt+Ctrl+D*): *Feather Radius > 20 px*.


ახლა შეასრულეთ **Filter > Blur > Radial Blur: Blur Method > Zoom; Quality > Best; Amount > 40**.




## 9

მოხსენით მონიშვნა (*Ctrl+D*). ფენათა პალიტრაში დააწკაპუნეთ ქვედა ნაწილში მოთავსებულ შავ-თეთრ წრეზე და გამოსული მენიუდან ამოირჩიეთ **Color Balance**.





ორჯერ დააწკაპუნეთ ახალ ფენაზე და დააყენეთ სასურველი ფერები.




## 10


დააწკაპუნეთ ტექსტური ფენის გასწვრივ მოთავსებული თვალის გამოსახულებაზე.




შექმენით ახალი ფენა ბრძანებით **Layer > New > Layer** (Ctrl+Shift+N).



მონიშნეთ ადგილები, რომლებიც სურათზეა ნაჩვენები:



**Layer > Merge Layers** (Ctrl+E).



## 11

შეცვალეთ ზევითა ფენის "ზედდების რეჟიმი" ("Blending Mode") Overlay-ზე.



სხვა შემთხვევა, როცა "ზედდების რეჟიმი" ("Blending Mode") დაყენებულია Multiply-ზე.



შეასრულეთ ბრძანება **Filter > Noise > Add Noise: Amount > 4-7; Distribution > Uniform.**





## 29 ბაკჰაილი მორაპის ეფექტი

### 1

გახსენით ნებისმიერი ზომის ახალი დოკუმენტი ბრძანებით **File > New** (Ctrl+N) და შეავსეთ იგი შავი ფერით. აირჩიეთ საწერი ინსტრუმენტი და აკრიფეთ თქვენთვის სასურველი ტექსტი თეთრი ფერით. დააჭირეთ Ctrl-ს და ამავდროულად დააწკაპუნეთ ტექსტურ ფენაზე, რათა მონიშნოთ ტექსტი.



### 2

დააჭირეთ "D"-ს კლავიატურაზე, შემდეგ შექმენით ახალი ფენა ბრძანებით **Layer > New > Layer** (Shift+Ctrl+N) და შეასრულეთ ბრძანება **Filter > Render > Clouds**. დააჭირეთ Ctrl+F-ს ფილტრის გასამეორებლად.

დამალეთ თავდაპირველი ტექსტური ფენა "WIZ". ამისთვის დააწკაპუნეთ ფენის გასწვრივ მოთავსებულ თვალის გამოსახულებაზე. მოხსენით მონიშვნა (Ctrl+D).



### 3

შეასრულეთ ბრძანება **Filter > Sharpen > Unsharp Mask**: *Amount > 500%; Radius > 4 px; Threshold > 8 Levels*.



### 4

ახლა შეასრულეთ **Filter > Stylize > Wind**: *Method > Wind; Direction > From The Right*. კვლავ შეასრულეთ იგივე მოქმედება, ოღონდ ამჯერად *Direction-ში აღნიშნეთ From The Left*.





## 5

დააჭირეთ და არ აუშვათ Ctrl-ს და დააწკაპუნეთ დამალულ ტექსტურ ფენაზე “WIZ”, შემდეგ შეასრულეთ ბრძანება **Select > Modify > Contract**: *Contract By > 5 px* (ზომა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომის გაქვთ ტექსტი. ამ მაგალითში გამოყენებული ტექსტის ზომისთვის საკმარისია 5 პიქსელი).

შეასრულეთ ბრძანება **Select > Feather** (Ctrl+Alt+D): *Feather Radius > 3 px*. ამის მერე შეასრულეთ **Select > Inverse** (Shift+Ctrl+I).



## 6

**Filter > Stylize > Wind**: *Method > Stagger; Direction > From The Right*.

გაიმეორეთ ეს მოქმედება, ოღონდ ამჯერად Direction-ში აღნიშნეთ From The Left.



## 7

შეასრულეთ ბრძანება **Filter > Distort > Twirl**: *Angle > 350*.

მოხსენით მონიშვნა (Ctrl+D).




## 8

დროა გააფერადოთ თქვენი გამოსახულება. ამისთვის შეასრულეთ ბრძანება **Image > Adjustments > Color Balance** (Ctrl+B) და დააყენეთ ფერები თქვენი გემოვნების მიხედვით. თქვენ შეგიძლიათ გამოაჩინოთ დამალული ფენა თვალის გამოსახულებაზე დაწკაპუნებით და შეცვალოთ ამ ფენის “ზედდების რეჟიმი” (“Blending Mode”) Exclusion-ზე.



## 9

შეგიძლიათ დაუმატოთ გამოსახულებას ჩრდილის ეფექტი ბრძანებით **Layer > Layer Style > Drop Shadow**:



# 30 ბაკგეტილი ჯოჯოხეთის წარწერა

## 1


გახსენით ნებისმიერი ზომის ახალი დოკუმენტი ბრძანებით **File > New** (Ctrl+N) და შეავსეთ იგი რომელიმე მუქი ფერით. აირჩიეთ საწერი ხელსაწყო და აკრიფეთ ტექსტი თეთრი ფერით.




## 2

შეასრულეთ შემდეგი ბრძანებები:


**Layer > Layer Style > Drop Shadow:**




**Layer > Layer Style > Inner Shadow:**



**Layer > Layer Style > Gradient Overlay:**



Layer > Layer Style > Stroke:



შემდეგ შეასრულეთ ბრძანება Layer > Flatten Image.



3

Filter > Artistic > Plastic Wrap: *Highlight Strength > 10; Detail > 15; Smoothness > 6.*



4

აირჩიეთ საწერი ხელსაწყო და კვლავ დაწერეთ იგივე ზომის და შინაარსის ტექსტი და მოათავსეთ იგი საწყისი ტექსტის თავზე.





## 5

დაჭირეთ Ctrl-ს და ამავდროულად დააწკაპუნეთ ახალ ტექსტურ ფენაზე, შემდეგ დამალეთ იგი და გააქტიურეთ ქვედა ფენა.



## 6

შეასრულეთ ბრძანება **Filter > Blur > Gaussian Blur**: *Radius > 2, 5 px*.




## 7

შეასრულეთ **Select > Weather** (*Ctrl+Alt+D*): *Weather Radius > 2 px*.  
**Filter > Sharpen > Sharpen** - შეასრულეთ ეს მოქმედება 5-ჯერ ან 6-ჯერ.  
**Filter > Stylize > Wind**: *Method > Wind; Direction > From The Right*.



## 8

შეასრულეთ ბრძანება **Select > Inverse** (*Shift+Ctrl+I*), შემდეგ **Filter > Distort > Ocean Ripple**  
 შემდეგი მონაცემებით: *Rippe Size > 5; Ripple Magnitude > 10*. მოხსენით მონიშვნა (*Ctrl+D*).



# 31 ბაკჰმილი მწვანე პლასტმასის წარწერა

## 1


შექმენით ახალი დოკუმენტი ბრძანებით **File > New** (Ctrl+N) და შეავსეთ იგი ღია მწვანეთი. აირჩიეთ საწერი ხელსაწყო და დაწერეთ თქვენი ტექსტი.





## 2


შეასრულეთ შემდეგი ბრძანებები:

**Layer > Layer Style > Drop Shadow:**





**Layer > Layer Style > Bevel And Emboss:**






Layer > Layer Style > Gradient Overlay:



Layer > Layer Style > Stroke:



### 3

მწვანე პლასტმასის წარწერა მზადაა:





## 32 ბაკჰოთილი ქვის წარწერა


### 1

შექმენით ახალი დოკუმენტი ბრძანებით **File > New** (Ctrl+N). შეავსეთ იგი შავი ფერით (**Edit > Fill**) და თეთრი ფერით დაწერეთ თქვენთვის სასურველი ტექსტი. მოახდინეთ ფენის რესტაორიზაცია ბრძანებით **Layer > Rasterize > Type**, შემდეგ შეასრულეთ ბრძანება **Filter > Texture > Stained Glass**: (დამოკიდებულია თქვენი ტექსტის ზომაზე): *Cell Size > 12; Border Thickness > 8; Light Intensity > 1*.



### 2

შეასრულეთ ბრძანება **Select > Color Range** და დააწკაპუნეთ გამოსახულების რომელიმე თეთრ ნაწილზე. შედეგად ტექსტი მოინიშნება.




### 3

გადადით არხთა პალიტრაში (**Windows > Channels**), შექმენით ახალი არხი და შეავსეთ მონიშნული არე თეთრი ფერით. დააჭირეთ Ctrl+D-ს რათა მოხსნათ მონიშვნა. ახლა შეასრულეთ **Filter > Blur > Gaussian Blur**: *Radius > 4,0*.



## 4

